“ჩემი ადვოკატი პოლიციასთან არის შეკრული, ჩემს ინტერესებს არ იცავს, მისი დანახვა არ მინდა,” – ასეთი მოულოდნელი განცხადება გააკეთა გუშინ უზენაესი სასამართ-ლოს ერთ-ერთი დარბაზის გაღიაში მოთავსებულმა პანკისელმა ფეი-ზულ მარგოშვილმა, რომელსაც უმ-ძიმესი ბრალდებებით – ადამიანის გატაცებისთვის, განზრახ მკვლე-ლობის მცდელობისთვის, იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარები-სა და გამოყენებისთვის ასამართ-ლებენ.

ფეიზულ მარგოშვილის სასამარ-თლო პროცესი თავდაპირველად მოწმეთა და დაზარალებულთა გა-მოუცხადებლობის გამო გაჭიანურ-და. საქმე გაართულა იმნაც, რომ განსასჯელს სამი თვის განმავლობა-ში, სასამართლო პროცესზე ხმა არ ამოყოლია. მას ჩვენება არც წინასწარ გამოძიებას მისცა და სასამართლო-შიც დუმილის უფლებით ისარგებლა.

თუმცა, ბოლოს და ბოლოს პროცეს-ზე გამოჩენილმა დაზარალებულებმა და მოწმეებმა მისი სიმყვდელ დაარ-ვეიეს და მარგოშვილი საკუთარ უდა-ნაშაულობაზე აღაპარაკდა. ამის შეს-ახებ “24 საათი” უკვე წერდა.

გუშინ სამი თვის განმავლობაში ჩუმად და მშვიდად მყოფი, შემდეგ კი აღაპარაკებული განსასჯელის და-მორჩილება სასამართლო კოლეგიას გაუჭირდა. მარგოშვილი პატივრიო-ულად მოითხოვდა დარბაზიდან გაყ-ვანას და მის გარეშე პროცესის გაგ-რძელებას.

“ველარ მოვისმენ ამ ტყუილებს, აღარც მაინტერესებს არაფერი. გა-მიყვანეთ და დაუსწრებლად გამო-მიტანეთ განაჩენი,” – გალიას აწყე-დებოდა მარგოშვილი. განსასჯელის აღმფრთხილება და განრისხება მოსა-მართლის მიერ გამოტანილ გადაწყე-ვეტილებას მოჰყვა: სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ მას მოითხოვნის დაკმაყოფილებაზე (ად-ვოკატის აცილების შესახებ) უარი უთხრა.

“ადვოკატის აცილებას და საქ-მეში სხვა დამცველის ჩართვას

მხოლოდ და მხოლოდ პროცესის გაჭიანურების მიზანი აქვს. აჰმედ თეფნი ყველა პრეტენზია დავცა-მა-ყოფილი და იმიტომაც გაჭიანურ-და სასამართლო გამძიება. ყვე-ლადგერს საზღვარი აქვს,” – თავის პოზიციას არ თმობდა მოსამართლე დავით გომელაურისა და ადვოკატის კა-მათის მოსასმენად ემზადებოდა. განსასჯელი მარგოშვილი კი პროკუ-რორს სიტყვის თქმის საშუალებას არ აძლევდა და კვლავ დარბაზიდან აყვანას ითხოვდა. თანაც, საკუთარ ადვოკატს ლანძღავდა და საქტეგო-რიულად ითხოვდა დარბაზიდან მის გაძევებას. “გუუბნები, არ მჭირდე-ბი, თავი დამანებე, არ მინდა შენი დავითი საფეხის მოსმენა... გიმე-ორებო, ჩემი ადვოკატი ახმეტის პოლიციასთან არის შეკრული, ჩემს ინტერესებს კი არა, მათ ინტე-რესებს იცავს. მომეცით საშუალე-ბა, სხვა ადვოკატმა დამიცავს,” – არ ცხრებოდა ფეიზულ მარგოშვილი და პროცესის ჩაშლით იმუქრებოდა. ეს ყველაფერი პროკურორის საბო-ლოო სიტყვის ფონზე ხდებოდა. მო-სამართლე ლენგერ ბოჭორიშვილმა

ყველა ღონე იხმარა მარგოშვილის დასაწყნარებლად, თუმცა - უშედე-გოდ. განსასჯელის ხმაურიანი პრო-ტესტი კი იმით დასრულდა, რომ ის დარბაზიდან გააძევეს და ადვოკატი-სა და პროკურორის კამათიც მის და-უსწრებლად შედგა. პროკურორმა მისთვის თხოუმეტწლიანი პატიმო-ბა, ადვოკატმა კი გათავისუფლება მოითხოვა და წინასწარი გამოძიებას დროს დამტყვული შეცდომები მიმო-იხილა.

წესრიგის დარღვევითების დარ-ბაზიდან გაძევებულ ფეიზულ მარ-გოშვილს სასამართლო დღეს გამოუ-ტანას განაჩენს, თანაც ისე, რომ განსასჯელს საბოლოო სიტყვის თქმის საშუალება არ ექნება. თუმცა, მარგოშვილმა ბოლო სიტყვა გუშინ უკვე თქვა. “უდანაშაულო ვარ. უბ-რალოდ, ვიღაც-ვიღაცეებს აქვთ ჩე-მი ინტერესი, მაგრამ სიმართლის გარკვევა შეუძლებელი ყოფილა. რამდენი წელიც მოგინდებათ, იმდენი მომიხაჯეთ, გე ზომ ვიცი, რომ მართალი ვარ,” – ამ სიტყვებით დაა-ტოვებინა ბაღრავამა დუისელ ქისტს სასამართლო.

ვაკე-საბურთალოს სასამართლო „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი მირიად გაამართლა

“არ დამკაყოფილდეს შარაძის კერძო საჩივარი და უარი ეთქვას მას რამდენილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე” – ამგვარი გადაწყვეტილება ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ უკვე მეორედ გამოიტანა და მომჩივნს მხარეს, სამართლის საქმენლად, საოლქო სასამართლოსკენ მეორედ მოუთითა.

თამარ კახიძეაძე

მართალია, რამდენიმე დღის წინ გუგამ შარაძე კმაყოფილი იყო მოსა-მართლის – სულეიკო ციცივიძის მიერ შეიდღლიანი მოსამზადებელი ეტაპით და იმედიც ჰქონდა, რომ ახალი სასა-მართლო კოლეგია წინამორბედი კო-ლეგის - თემურ ჭაბახაძის - შეცდო-მას აღარ გამეორებდა, დააკმაყოფი-ლებდა მის მოთხოვნას და რამდენიმე ცილისწამების გამო დააპატიმრებდა კიდევ, მაგრამ პროცესის დაწყებამდე მარაძე და მისი მომხრენი მიხვდნენ, რომ საქმე არც ისე “კარგად” იყო. გუშინ, 11 საათზე, მოსამართლე ციცივიძის საბოლოოდ უნდა გამოეცე-მუნებინა დადგენილება, აღძრავდა თუ არა ცილისწამების მუხლით სის-ხლის სამართლის საქმეს “თავისუფ-ლების ინსტიტუტის” წევრ ლევან რამიშვილის მიმართ. მაგრამ დანიშ-ნულ დროს მოსამართლე სხდომათა დანახვაში არ გამოცხადებულა. პარლამენტარმა და მისმა ადვო-კატმა სასამართლოს თავმჯდომა-რის მამუკა ნოზაძის მისაღებ ოთახ-

ბებს აღებინებს, როგორიც თვი-თონ აწყობს. თვითონ კი “თავი-სუფლების ინსტიტუტის” გავლე-ნის ქვეშ არის მოქცეული”, – ორნ-მენტებზე უმაღლესი საკანონმდე-ლო ორგანოს წარმომადგენელი.

ხუთ საათზე დანიშნულ სხდომა-ზე მოსამართლე ციცივიძეს აღარ და-უგვიანია. თავის საბოლოო სიტყვაში მოსამართლემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შარაძის კერძო ბრალდების საქ-მე ერთბაშად უნდა განიხილა და კონსტიტუციის მეცხრამეტე მუხლი-დან გამომდინარე, რამიშვილის სიტყვებში არათუ ცილისწამების, არამედ ეთიკის, მორალის და ზნეო-ბის ნორმების დარღვევის გერანაირი ფაქტიც კი ვერ აღმოაჩინა. პირქით, მოსამართლის განმარტებით, ყველა მოსამართლეს შეუძლია საკუთარი აზ-რი გამოთქვას, რაც კონსტიტუციით მინიჭებული უფლებაა. კიდევ ერთი: მოსამართლე ციცივიძემ პარლამენ-ტარს რჩევაც კი მისცა – ეს საკითხი სისხლის სამართლებრივ დავას არ განეკუთვნება და მეგილიათ, სამო-ქალაქო წესით იჩივლებოთ.

ერთი სიტყვით, ლევან რამიშვი-ლი და მისი სახით “თავისუფლების ინსტიტუტი”, როგორც თავად შარა-ძე აღნიშნავს, მეორედ გადაურჩა სისხლის სამართლის პასუხისმგე-ლობას. თუმცა, ამით მარაძე-რამიშ-ვილის დავა არ დასრულებულა.

“ ჩემი მიზანია, ლევან რამიშვი-ლი გისოსებს მიღმა მოხვდეს და ამას მაინც მოვლწევ. ვაკე-საბურ-თალოს სასამართლოს თავმჯდო-მარს და მისი მოსამართლეების მოყვლელები არიან და სხვების გაკლენით მოქმედებენ. ამიტომ, სასამართლო ხელისუფლება ამე-ვარი პიროვნებისგან უნდა გაიწ-მინდოს. ჩვენ უკვე ექვმართეთ იუსტიციის საბჭოს და ნოზაძის და ციცივიძის პასუხისმგებლობის სა-კითხის დაყენება მოგთხოვით. დე-პუტატს რომ ასე ექცევიან, წარმო-იდგინეთ რას გაუუქებებ ჩვეუ-ლებრივ მოქალაქეს,” – აღნიშნა არასასურველი დადგენილების გა-მოცხადების შემდეგ გუგამ მარაძემ.

მორიგ კანონიერ გადაწყვეტილე-ბად შეაფასა ვაკე-საბურთალოს სა-სამართლოს დადგენილება “თავი-სუფლების ინსტიტუტის” წარმო-მადგენელმა გიგა ბოკერიაშ: “რა-მიშვილს შარაძის მიმართ არანაი-რი დანაშაული არ ჩაუდგენია. პირი-ქით, ჩვენი მოვალეობაა ვამხილოთ შევარდნაძის მიერ დაქირავებული შარაძის მსგავსი ფაშისტები და ისინი პოლიტიკიდან გაავადიოთ”.

მოსამართლის გადაწყვეტილება-ზე კომენტარი არ გაუქციებია თა-სმოსამართლის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის პროცესზე საერთოდ არ გამოცხადებულა.

სტრასბურგმა ქართულ სამართალდამცავებს ჩაერინი პატიმრები ექსტრადიციის უფლება მისცა

ინგა ალაჰიძე

სტრასბურგის ადამიანის უფლებე-ბის დამცველმა უმაღლესმა სასამარ-თლომ 4 ოქტომბრის გამოტანილი გა-დანცვეტილება გუშინ შეცვალა. ევრო-სასამართლოს ახალი რეკომენდაცი-ით, ორთაქალის ციხეში მყოფი 8 ჩეჩენი პატიმრის ექსტრადიცია ნებადარ-თულია. სტრასბურგის ახალი გადაწყე-ვეტილების საფუძველი მოსკოვის მი-ერ უმაღლეს სასამართლოში გაგზავ-ნილი მყარი გარანტიები გახდა.

ჩეჩენ ტუსაღთა ადვოკატი ლია მუ-ხამაგარია ევროსასამართლოს ახალ გადაწყვეტილებაში საგანგაშის ვერა-ფერს ხედავს. “ჩვენ ტელეფონით ვე-საუბრეთ ევროსაბჭოს წარმომადგე-ნელს, რომელმაც გვითხრა, რომ რუ-სეთმა მათ სერიოზული გარანტიები წარუდგინა იმის შესახებ, რომ არ დაირღვევა ექსტრადირებულების უფლებები, მათ სიცოცხლეს არ დაე-მუქრება საფრთხე და ისინი არ გახ-დებიან წამების მსხვერპლნი. რა თქმა უნდა, არასასურველია, თუ მა-თი ექსტრადიცია მოხდება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი ჩეჩნებს საპატიმ-როში საუუეთესო პირობებს შეუქმ-ნის. ჩემი აზრით, მოსკოვი იძულებუ-ლი გახდა, არჩევანი გაეკეთებინა – ან პროცესი უნდა წავყო ან საპატიმ-როებში ჩეჩნების მიმართ სასტიკი დამოკიდებულება შეეცვალა და სა-კონცენტრაციო ბანაკები გაეუქმე-ბინა,” – ამბობს ლია მუხამაგარია, რომ-ლის ორგანიზაციის “კონსტიტუციის 42-ე მუხლის” წყალობითაც, დარჩენი-ლი 8 პატიმრის ექსტრადიცია მოო-ლოდ სასამართლოს ნებართვით გან-ხორციელდება და არა გასაიდუმლოე-ბულ ვითარებაში, როგორც ეს 8 ჩეჩენ-ის გადაცემისას მოხდა. გენერალური პროკურატურის თანხმობა ჯერ მთაწ-მინდა-კრწანისის სასამართლოში გა-საჩივრდება და თუ პროკურატურას

პირველი ინსტანციის სასამართლოც დაეთანხმება, მაშინ ადვოკატები უზე-ნავს სასამართლოს მიმართავენ. უზე-ნავსი სასამართლოს უარყოფითი დადგენილება კი კვლავ ევროსაბჭოს განილვის საგანი გახდება. საქორე-ბის შემთხვევაში ასეთი სამართლებ-რივი პროცედურის გავლას აპირებს პატიმარ ჩეჩენთა უფლებების დამცვე-ლი ორგანიზაცია - “კონსტიტუციის 42-ე” მუხლით.

ადვოკატი ლია მუხამაგარია რუსე-თის იზოლაციურებში ვიზიტსაც გეგ-მავს. მისმა ორგანიზაციამ უკვე მი-მართა საქართველოში რუსეთის სა-ელჩოს ვიზების მოთხოვნით, რათა 4 ოქტომბრის თბილისიდან სტავროპო-ლის იზოლატორში გადაყვანილი 5 ჩე-ჩენი ტუსაღის მდგომარეობა შეამოწ-მოს.

როგორც ცნობილია, გენერალურ-მა პროკურატურამ დაასრულა ჩეჩენ პატიმართა ვინაობის იდენტიფიცაცია და უკვე დადასტურებულია, რომ და-კავებულია შორის 2 საქართველოს მოქალაქე, პანკისისებობელი ქისტია.

გიორგი კუმტანაშვილისა და რო-ბინზონ მარგოშვილის საბრალდებო ბასკენა უშიშროების სამინისტრომ დაამტკიცა და საქმე განსახილველად საოლქო სასამართლოს გადაუგზავნა. ჩეჩნებთან ერთად დაკავებულ ქის-ტებს ბრალად ედებათ - იარაღის უკა-ნონო შენახვა, შეძენა, ტარება და სა-ქართველოში საბრძოლო მასალის უკანონოდ შემოტანა, ასევე - საზღვ-რის უკანონო გადაკვეთა.

მათთვის წაყენებული ბრალდება, საქართველოს კანონმდებლობი, 3-დან 10 წლამდე პატიმრობას ითვალის-წინებს.

საერთაშორისო და ქართული კა-ნონმდებლობის მიხედვით, იმის გამო, რომ ბრალდებულები საქართველოს მოქალაქეები არიან, მათი რუსეთში ექსტრადიცია არ უნდა მოხდეს და რუ-სეთში ჩადენილი დანაშაულისათვის ისინი საქართველოში უნდა გასამართ-ლდნენ.

დააკავეს „მთაწმინდის სამოს,, ლიდარი

“მთაწმინდის სამოს” ლიდერი და-ვით გულიაშვილი, რომელსაც კანონ-დამცველები, კარგა ხანია, ყაჩაღობის-თვის ეძებენ, თბილისში, ზუგდიდში-ლების ქუჩაზე გუშინ დააკავეს. თბი-ლისის პოლიციის სამმართველოს უფ-რორის მომხმარებლის დავით კეკელას ინ-ფორმაციით, დავით გულიაშვილი სე-რიოზული კრიმინალური დაჯგუფე-ბის ლიდერი იყო და იგი უცხოური მარკის მანქანაზე იტაცებდა.

შსს-ს ინფორმაციით, დავით გუ-ლიაშვილმა 28 აპრილს რუსთაველის გამზირისა და ჭავჭავაძის ქუჩების გა-დაკვეთაზე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, “ბმე“-ს მარკის მანქანა წაართვა წუგზარ ჩიხაძეს. გატაცე-ბული მანქანა შეაჯახა ბესიკის ქუჩაზე მდებარე სახლს და ავტოავარიით გაბ-რუნებულმა იგი იარაღით დაცხროლა. იმავე დღეს გულიაშვილი თავს და-ესხა ბუნებისმეტყველო სადგურ “დი-იქს”, რომელიც გაძარცვა. რამდენიმე დღის შემდეგ მან კიდევ ერთხელ გა-ძარცვა “დიკე” და ოპერატორის მარო-ნე ბუფაშვილის “ოპელ-ვექტრას” მარ-კის მანქანა გაიტაცა.

მომდევნო დღეებში დავით გულიო-აშვილი ბუნებისმეტყველო სადგურ “ჯორჯიას” დაესხა თავს და “ბილიზ-კლუბის” მიმდებარე ტერიტორიიდან

ვაკავეს პატიმროვის ვადა გაუზარძალა

ახმედ ზაკავეი კოპენჰაგენის ცი-ხეში კიდევ 9 დღეს გაატარებს. ასე-თი გადაწყვეტილება მიიღო გუშინ დანიელმა მოსამართლემ ლისბეტ კრისტენსენმა, რომელმაც ზაკავეის საქმე განიხილა და პოლიციის მოთხოვნა - 14 დღით გაგრძელებუ-ლიყო ზაკავეის პატიმრობა - წანი-ლორივ დააკმაყოფილა.

რუსეთის გენერალურმა პროკუ-რატურამ დაიბნის ოუსტიციის სამი-ნისტროს მოთხოვნა, რომ ზაკავეის ბრალულობის დამამტკიცებელი დამატებითი მასალა კოპენჰაგენში 30 ნოემბრამდე გადაგზავნა, ვადაზე აღერე შესაძლება. გასულ კვირას რუსმა კანონდამცველებმა დანიელ კოლეგებს გადაუგზავნეს ახალი მა-სალები. რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის სერგეი ფრიდინსკის ინფორმაციით, დანიაში გაიგზავნა მამა ფილიპის ჩეჩენების სრული ტექსტი. როგორც ცნობი-ლია, რუსი კანონდამცველები ახმედ ზაკავეს დადანაშაულებენ ერთი წლის წინ, ჩეჩნეთში, მამა ფილიპის გატა-ცების ორგანიზატორებაში.

ფრიდინსკის თქმით, რუსეთი და-ნიაში უახლოეს დღეებში გაგზავნის

„ტიტანიკი,, „ჩაიძირა,,

პატიგორსკის სასამართლომ 16 წლთი თავისუფლების აღკვეთა მიუ-საჯა ჩეჩენი ბოევრების შტაბის ყო-ფილ მეთაურს საიდ-მუჰამედ ჩუპა-ლაევს.

45 წლის ჩუპალაევი, მეტსახე-ლად “ტიტანიკი”, სასამართლომ ბრალდების ყველა ეპიზოდში დამნა-შავედ ცნო. მას ბრალად ედებათ და უკანონო შეიარაღებული ფორმირე-ბის წევრობა, იარაღის უკანონოდ ტა-რება და შეიარაღებულ აჯანყებაში

ზაკავეის საქმეზე ახალ მტკიცებუ-ლებებს. საუბარია ჩეჩენი საველე მე-თაურის სალმან რადუევის ჩეჩენბა-ზე, რომელშიც რადუევი ზაკავეის ტერორისტულ საქმიანობას დეტა-ლურად აღწერს.

გუშინ რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომლებმა ჟურნალისტებს გააცნეს ჩეჩენი სეპარატისტების იდეოლოგიის, მოვლადი უღელგოვის განცხადების ჩანახერი. უღელგოვი რუსეთის სპეცსამსახურების ხელში აღმოჩენილ აუდიოჩანახერში ახმედ ზაკავეის წინააღმდეგ გამოდის, მის მიერ რუსეთის ერთ-ერთი გაზეთის-თვის მიცემული ინტერვიუს და ივან პირკინთან შეხვედრას მკაცრად აკ-რიტკებს, რადგან მიიჩნევს, რომ ზაკავეის ამ ქმედებებმა ჩრდილი მი-აყენა მასხადოვის სახელს. მოვლადი უღელგოვა ჩრდილოეთ კავკასიელ მოკავშირეებს დავალება მისცა, გა-დაამართლონ კახეზი და დაუგზავ-ნონ მოჯახბეებს, რათა ყველას მიე-ცეს საკუთარი აზრის გამოთქმის სა-შუალება. უღელგოვი გამოდის წინა-დადებით, რომ მოჯახბეებმა ზაკა-ვეს კოლექტიური გასამართლება მიუწყონ.

მონაწილეობა. ჩეჩნეთის ურუს-მარტანის რაიო-ნის სოფელ ალხაზუროვოში დაბადე-ბულ “ტიტანიკს” ბოევითა და შტაბში მალალი პოსტი ეჭირა და დღევრის უღ-სადაზვერეო პატალონისაც ხელმძღვანელობდა. 1996 წლის აგ-ვისტოდან იგი შტაბის უფროსის პოსტზე გადაიყვანეს და უშუალოდ ხელმძღვანელობდა ოპერაცია “ჯი-ოჰადს”, რომლის დროსაც ბოევებმა გროზნი აიღეს.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის განვითარების მიზნები

რა პარსპექტივები აქვს უკრაინის-საქართველოს ურთიერთობის განვითარების მიზნებს?

პირველი პერიოდია

მეზობელების გამოჩენას, რომელთა უმრავლესობამაც რუსეთის საზღვარი თავის დროზე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადმოლახა, კრემლის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებაზე არნახული პრესინგი მოჰყვა. მაგრამ თუ მარშნდღამდე მეზობლების ურთიერთობა "ცივი მშვიდობის" ხასიათს ატარებდა, კოდორის ხეობაში ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის რაზმების გამოჩენის შემდეგ, რუსეთმა შევარდნაძე ტერორისტების მფარველობაში ღიად დაადანაშაულა და პირდაპირ საავიაციო დარტყმებზე გადავიდა.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლებას ერთადერთი გზა რჩებოდა - მოექცნა საიმედო პარტნიორი, რომელიც დაეხმარებოდა პანკისის ხეობის პრობლემის მოწესრიგებაში და რუსეთთან შუამავლის როლსაც შეასრულებდა. სწორედ ამ დროს წარმოიშვა თანამშრომლობის სამხრეთი ფორმატის - ამერიკა-საქართველო-რუსეთის სამკუთხედის იდეა. გამოიკვეთა ამ დიალოგის საერთო მიზანიც - საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ხოლო, ვინაიდან პანკისის ხეობა ტერორისტული ვირუსით სერიოზულად აღმოჩნდა დასწეულეული, საქართველოც გალობალური ანტიტერორისტული კამპანიის ფერხულში ჩაერთო. რუსეთისთვის მოვლენების ამგვარი განვითარება მოულოდნელი აღმოჩნდა, თუმცა, თანამშრომლობის სამხრეთი ფორმატში მონაწილეობას ნაძალადევად დათანხმდა, თუნდაც იმ პოლიტიკური ინტერესების გამო, რომელიც 11 სექტემბრის ტერორის მოჰყვა.

ყოველ შემთხვევაში, გასულ თვეში მოსკოვიდან დაბრუნებული საქართველოს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია, ამგვარ თანამშრომლობაზე ღიად მიანშვნებდა. ვალერი ხაბურძანია: **“ მე უნდა ვთქვა, რომ სპეცსამსახურებს შორის სამხრეთი თანამშრომლობა, უკვე არცაა ხანია, დაწყებულია. ასე რომ, ამ მიმართულებით ჩვენ ჩამორჩენა ნამდვილად არა გვაქვს, პირიქით.”**

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის დავალებით ქართულ-ამერიკულ-რუსულ ფორმატში დიალოგის გაგრძელების ფუნქცია საქართველოს უშიშროების სამსახოს მდივანს თედო ჯავახიძეს დატკისრა, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში რამდენჯერმე ესტუმრა ვაშინგტონსა და მოსკოვს. თედო

"თავი დავანებოთ იმ კანთაზზე ყურახას, რომელის არ გვაქვს..."

აფხაზი და ქართველი საზოგადო მოღვაწეების შეხვედრების (ე.წ. შლაინინგის) პროცესი 2000 წელს დაიწყო და იგი ითვალისწინებს აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ფორმების ძიებას და ამ მიმართულებით საზოგადოებრივი აზრის მომზადებას. გუშინ, აჭარის წარმომადგენლობაში, ამ პროცესში მონაწილე ქართული მხარის ერთ ჯგუფს უნდა წარმოედგინა და შეეჯამებინა რიგით მეცხრე შეხვედრის შედეგები, მაგრამ თავად ჯგუფის წევრებს შორის ისეთი დისკუსია გაიმართა, რომ კიდევ ერთხელ დადასტურდა - ქართველებს ერთთან პოზიციაზედ მისვლა არა მხოლოდ კონფლიქტის მონაწილე სხვა მხარეებთან, არამედ ერთმანეთთანაც გვიჭირს.

თამარ ხორბალაძე

გუშინდელ შეხვედრაზე ერთ-ერთი მთავარი სადღო თემა გახლდათ არძიანს ხელისუფლებისა და ნადირიშვილის ხელისუფლების ლეგიტიმურობის საკითხი.

აჭარის წარმომადგენელი ჰამლეტ ჭიპაშვილი რომ ნადირიშვილის ხელისუფლების ლეგიტიმურობას არ აღიარებს, იცავა გასაკვირი, მაგრამ არძიანბას ხელისუფლების ლეგიტიმურობის აღიარება, რომელიც აფხაზეთის ხელისუფლებაში, თურმე, არჩენების გზით ყოფილა მოსული, აღბათ, მეტიმეტია.

“მე ვერ ჩავთვლი დე-ფაქტო ხელისუფლებას არალეგიტიმურად. აფხაზეთში ჩატარდა არჩევნები. მონიშნააღმდეგეთა ლოკაცია, გამსახურდის შემდგომი არც ერთი ხელი-სულადეა საქართველოში არძიი-რად არ უნდა ჩავთვალოთ...” - ირწუნებოდა გუშინ ჰამლეტ ჭიპაშვილი.

“არძინა არ აურჩევიათ გალში. სამართლიანი არჩევანის გაკეთების საშუალება არ მისცემია თავად აფხაზურ ოპოზიციას, არაფერს ვამბობ აფხაზეთიდან დევნილებზე და ასეთ არჩევნებში გამარჯვებულა არძინას ლეგიტიმურობას აღიარებთ?!” - ცხარხობდა ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის კოორდინატორი სამა რუსეიცკი, რომელიც საერთოდ წინააღმდეგია აფხაზეთის კონფლიქტის ქართულ-აფხაზურად მონათვლისა და მი-აჩნია, რომ ეს კონფლიქტი გაცილებით რთული შინაარსისაა.

კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის ქესპერტი პაატა ზაქარიშვილი კი აცხადებდა, რომ ბოლოს და ბოლოს საქართველოში უნდა შეეთანხმდეთ ტერმინებზე და შეთანხმებული და ოფიციალური ტერმინები აპლირებისთვის მზადყოფნას აფიქსირება.

ქვემო ქართლის ღობი აზერბაიჯანის პარლამენტში

ვინ ქმნის საფრთხოებას?



ჩინგიზ იაგუბი: “У нас все в порядке”

რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის სახელზე აზერბაიჯანის პარლამენტმა საპროტესტო ნოტა გამოგზავნა. ყოველ შემთხვევაში, აზერბაიჯანულმა ოპოზიციურმა გაზეთმა “ზერკალო” მილი მეჯლისის ოფიციალური წერილი სწორედ ასე მონათლა. გაზეთის ინფორმაციით, აზრებაიჯანელი დეპუტატები აღმთითებული არიან იმ ფაქტით, რომ ბოლო დროს საქართველოში გახშირდა დანაშაულის შემთხვევები, მიმართული ეთნიკური აზერბაიჯანელების წინააღმდეგ.

თამარ მადლიშვილი

გაზეთი “ზერკალო” წერს: **“ქვეყნის პარლამენტმა, როგორც იქნა, ყურად იღო დეპუტატების - მაის საფარისა და ზალიზანს იაგუბის - მიწოდებები და მიიღო გადაწყვეტილება, ჩაერიოს იმ პროცესებში, რომელიც საქართველოში მცხოვრები აზრებაიჯანელების უფლებების დაცვას ეხება. მურთუზ ალესკეროვის თქმით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის საპარლამენტო კამპანია, რომლის თანახმადაც, ფვანის სახით საქართველოში სომხური ღობე მოქმედებდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს გაზეთი საქართველოს მხოლოდ მაშინ “უძღვნის” პუბლიკაციებს, როცა ქვემო ქართლში პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ძალთა ბა-ლანსი იცვლება.**

ამჯერადაც, გაზეთი აშკარა პროვოკაციაზე მიდის, როცა ამტკიცებს, რომ საქართველოში აზერბაიჯანელების უფლებები ირღვევა და ასეთი დასკვნის საფუძვლად ქვეყნის პარლამენტის დეპუტატების განცხადებები მოჰყავს.

სხვათა შორის, “ზერკალო” სწორედ ის გაზეთია, სადაც პერიოდულად იბეჭდება ანტიქართული ხასიათის პუბლიკაციები. ჯერ კიდევ შარშან გაზეთმა ააგონა ზურაბ ფვანის საინაიამდეგო კამპანია, რომლის თანახმადაც, ფვანის სახით საქართველოში სომხური ღობე მოქმედებდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს გაზეთი საქართველოს მხოლოდ მაშინ “უძღვნის” პუბლიკაციებს, როცა ქვემო ქართლში პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ძალთა ბალანსი იცვლება.

ამჯერადაც, გაზეთი აშკარა პროვოკაციაზე მიდის, როცა ამტკიცებს, რომ საქართველოში აზერბაიჯანელების უფლებები ირღვევა და ასეთი დასკვნის საფუძვლად ქვეყნის პარლამენტის დეპუტატების განცხადებები მოჰყავს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დუშ

ჯერჯერობით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს, ამ წერილთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

შესაბამისად, ოფიციალდედ ჯერ ისევ უცნობია,რა შინაარსისაა ის წერილი,რომელიც მილი მეჯლისმა ნინო ბურჯანაძის სახელზე გამოავზავნა. თუმცა, ჩვენ იმის დადგენა მაინც მოვაძღვრეთ, რომ ამ წერილს სულაც არა აქვს ულტიმატუმის ტონი და იგი მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულ წინადადებას შეიცავს - ისიც ორი ქვეყნის საზღვარზე არსებული მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით.

ერთადერთი, ვინც ამ წერილის შესახებ იცოდა რამე, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ზვიად მუხიანია-ნი აღმოჩნდა.

სხვათა შორის, საკმაოდ უცნაურია, რომ ამ ნოტას გაგზავნიდან რამდენიმე დღის შემდეგაც საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობა სიმშვიდეს ინარჩუნებს. ეს, უზრაოდ, ნინო ბურჯანაძის სტილი ნამდვილად არ არის. შესაბამისად, გაჩნდა ეჭვი, რომ ყველაფერი ისე არ



ზურაბ ჭავჭავაძე: “ჩვენთან არანაირი ეთნიკური პრობლემა არ არსებობს”.

“ამის შესახებ განაცხადე ქვეყნის პარლამენტში, რასაც მეორე დეპუტატის რეპლიკა მოჰყვა. მაის საფარლიმ განაცხადა, რომ იგივე ხდება საზღვრის ქართულ მხარესაც. სწორედ აქედან წარმოიშვა ამ წერილის გამოგზავნის იდეა,” - ასეთ ოფიციალურ ვერსიას გვთავაზობს ზალიზან იაგუბი.

საგულისხმოა ისიც, რომ ბოლნისის რაიონში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის 66 პროცენტს აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, არავინ საუბრობს ეთნიკურ პრობლემებზე. მეტიც - ბოლნისის გამგებლის ზურაბ ჯავახიძის თქმით, რამდენჯერმე იყო მცდელობა სკანდალურად ცნობილი ულტრანაციონალური ორგანიზაცია “გეირათის” რაიონში დამკვიდრებისა, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. “ჰველა საკითხის ადგილზე გადაწყვეტის ცვდილობთ. ბოლო სამი წლის მანძილზე ეთნიკური პრობლემები არ გვექნია. შეიძლება იყოს რაიმე საკითხი, მაგრამ მას ადგილზევე ვწყვეთ”, - ამბობს გამგებელი.

“შე შემიძლია გვარიც დავასახელო - იზუმრუდ ყურბანოვი. იგი ჩვენი კომიტეტის წევრია.. ადრე მან აზერბაიჯანულ გაზეთებს მისცა ანტიქართული სულისკვეთების ინტერვიუები. ამის მერე მქონდა მართან საუბარი. მან მიიხრა, რომ გაზეთში მისი სიტყვები არ იყო მოყვანილი და ყველაფერი ჟურნალისტებს დააბრალა. სხვათა შორის, ორმაინი კვირის წინ ყურბანოვზე ჩვენთან კვლავ შემოვიდა საჩივარი,” - განაცხადა ელენე თევდორაძე.

პრობლემა მაინც არსებობს

ჩვენი ინფორმაციით, ზალიზან იაგუბს საკმაოდ მჭიდრო და კარგი ურთიერთობები აქვს ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულთან ლევან მამალაძესთან და მათი ურთიერთობები მხოლოდ მეგობრობით არ შემოიფარგლება.

ამასთან, ჩვენივე ინფორმაციით, “ზერკალოს” გააქტიურება დროში დაგეშვა ფინანსთა სამინისტროს ერთ, საკმაოდ რადიკალურ გადაწყვეტილებას, რომელიც ფრაქცია “ალანსმა” უკვე გააპროტესტა.

ზვიად მუხიანია:

“ბოლო დრომდე საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა იყო დასაქმებული. გარკვეულნი ღებდნ ამას დადებითი ტენდენცია ჰქონდა, თუნდაც კონტრაბანდასთან ბრძოლის თვალსაზრისით. თუმცა, ამ ბოლო დროს, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ფინანსთა სამინისტრომ მკვეთარი პოზიცია დაიკაა - რატომღაც ფინანსთა სამინისტრომ გადაწყვიტა ვითარება დაეძაბა. საზღვარზე მომუშავე ხალხი გაყარეს სასახურიდან ყოველგვარი მიზეზისა და არგუმენტაციის გარეშე. ჩვენმა ფრაქციამ ფინანსთა სამინისტროს სახელზე კოლექტიური წერილიც კი გავავზავნეთ, რადგან რეგიონში ამ პერიოდში ძალიან დაიძაბა ვითარება. ამას კი შეუძლო გარკვეული ძალების გააქტიურება და დაწყნარებულ რეგიონში ეროვნული და ეთნიკური შუღლის გაღვივება. ამას ჩვენი უფნური მოქმედებითაც ხელს ვუწყობთ”.

ასე რომ, ამ გადასახედიდან შეიძლება სულაც არ იყოს გასაკვირი ლევან მამალაძის მეგობარი ბაქოელი პარლამენტარის გააქტიურება და წმინდა ეკონომიკური ინტერესების პოლიტიკურ ჭრილში გადატანა. არ არის გამორიცხული, რომ საბაჟოდან თანამშრომელთა მასობრივი დათხოვნით ლევან მამალაძის ფინანსური ინტერესები დაზარალდა და ბაქოელმა პარლამენტარებმაც გულთან ახლოს მიიტანეს მეგობარი გუბერნატორის პრობლემები.

“მე ვიცი, რომ ლევან მამალაძის მიმართ აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები საკმაოდ ლიალურად არიან განწყობილნი. ისინი მხარს უჭერენ მამალაძეს,” - ამბობს, თავის ვთვლასაც კი არ ატარებდნენ.

“გეირათელები” კვლავ აქტიურობენ

სხვათა შორის, ამ პატარა გამოძიების დროს, არც თუ მოულოდნელად, ამოტივტივდა საქართველოს პარლამენტის აზერბაიჯანელი წევრის სახელი, რომელიც, როგორც ჩვენი რესპოდენტები ამტკიცებენ, ულტრა-ნაციონალური ორგანიზაცია “გეირათის” წევრია და პერიოდულად ბაქოში ანტიქართული სულისკვეთებით გამსჭვალულ განცხადებებსაც აკეთებს ხოლმე.

“მე შემიძლია გვარიც დავასახელო - იზუმრუდ ყურბანოვი. იგი ჩვენი კომიტეტის წევრია.. ადრე მან აზერბაიჯანულ გაზეთებს მისცა ანტიქართული სულისკვეთების ინტერვიუები. ამის მერე მქონდა მართან საუბარი. მან მიიხრა, რომ გაზეთში მისი სიტყვები არ იყო მოყვანილი და ყველაფერი ჟურნალისტებს დააბრალა. სხვათა შორის, ორმაინი კვირის წინ ყურბანოვზე ჩვენთან კვლავ შემოვიდა საჩივარი,” - განაცხადა ელენე თევდორაძე.

“მარნეულშია ასეთი ორგანიზაცია - “გეირათი”. რაიმე როცა ხდება, იმ შემთხვე ამას ნაციონალურ დისკრიმინაციას არქმევენ და ინფორმაციას ბაქოში აგზავნიან. იქ არის ოპოზიციური გაზეთები: “ქეი”, “ზერკალო” და იმ წუთვე ინერება რაიმე წერილი. მე ასე ვიტყოდა - ისინი რუსეთის სპეცსამსახურების ხელდასმით ცდილობენ ვითარების გამწვავებას. ჩვენ კი მათ არ ვუსმენთ. მე ვარ ბოლნისის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფლის გამგებელი და ჩვენთან არც ერთი ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი ვარ არის. ჩვენ შესანიშნავად ვიცით, ვინ არიან ისინი.”

იზუმრუდ ყურბანოვთან ძალი აც ცუდი ურთიერთობები მაქვს. იგი თავიდანვე იყო “გეირანთან” დაკავშირებული, ახლაც კვლავ “გეირანთან” არის და წყალს ამღვრევს,” - ეს უკვე ჩინგი იაგუბია, რომელიც აცხადებს, რომ საკუთარ სოფელში “გეირათელებს” არასოდეს შეუშვებს.

ძნელი სათქმელია, რამდენად უკავშირდება იზუმრუდ ყურბანოვის სახელი ამ კონკრეტულ შემთხვევას, მაგრამ ძალზე სიმპტომატურია, როცა ანტიქართველ დეპუტატზე თავად აზერბაიჯანელები საუბრობენ. ამ ფონზე, ცოტა არ იყოს, არასერიოზულია ზვიად მუხიანიანის განცხადება, რომლის თანახმად: **“გარწმუნებთ, ფრაქცია “ალანსში” არ არის არც ერთი დეპუტატი, რომელიც გაადგივებს ეროვნულ შუღლს და საიდან მოიტანეთ ყურბანოვის გვარი, გაუგებარია. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობები მაქვს აზერბაიჯანელებთან. ეს ქვეყანა არის ჩვენი სტრატეგიული პარტკერტი, ურთიერთობები გვჭირდება, რომლის თანახმად: “გარწმუნებთ, ფრაქცია “ალანსში” არ არის არც ერთი დეპუტატი, რომელიც გაადგივებს ეროვნულ შუღლის გაღვივება. ამას ჩვენი უფნური მოქმედებითაც ხელს ვუწყობთ”**.

მთელი ეს ისტორია, იქნებ, არც იყოს ყურადღების ღირსი, მაგრამ ბოლო ხანს გაჩნდა ტენდენცია, ქვემო ქართლისგან შეიქმნას ერთგვარი საფრთხიბელა, რომელმაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ქვეყნის სტაბილურობას. ვის სჭირდება ასეთი საფრთხოების არსებობა? - უთუოდ იმას, ვინც პერიოდულად კვებავს მას.

დღის პარსონა

დღის პარსონის მხარის პირ დავიძირ

“მოქალაქეთა კავშირისა” და “სოციალისტების” ამასწინანდელი გაერთიანება, თვით “მოქკავშირის” ზოგიერთი წევრისთვისაც მოულოდნელი იყო (ყოველ შემთხვევაში, თავად აცხადებდნენ ასე); ზოგისთვის - არასერიოზული; ზოგისთვის კი ამგვარი ფინალი - ცხადზე უცხადესი. ამ უკანასკნელთა რიცხვში, პირველ რიგში, ისინი იყვნენ, ვინც “ალორძინებასა” და “მოქალაქეებს” ერთი მდლის ორ მხარედ ალიქვამდა. რას შეიძლება უქადდეს “სოც-კავშირი” საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სპექტრს? ყოველ შემთხვევაში, საპარლამენტო ცხოვრებაში, ალბათ, ბევრი არაფერი შეიცვლება. პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიებისთვის კი სახელისუფლო გაერთიანება აქამდეც და ამის შემდეგაც ის ძალა იქნება, რომლის წინააღმდეგაც უნდა იბრძოლონ. გამოდის, არც არასაპარლამენტო ოპოზიციაში შეიცვლება რაიმე. რა წონითი კატეგორიები გაერთიანდნენ, ვის ვინ სჭირდება - ამის პასუხი დიდხანს არ დაახანებს. დაინტერესებული საზოგადოება შეუიარაღებელი თვალთაც კარგად ხედავს, რომ დღეს ნებისმიერი გაერთიანება და ნებისმიერი დათმობა - აუცილებლად რაიმე ვარიეტებს ნიშნავს. გაერთიანების უფრო ძლიერი მავალითი ამ ბოლო ხანს ძალადობის წინააღმდეგ გაერთიანებულმა ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ გვიჩვენა. რას ფიქრობს ამის შესახებ “წლის გაერთიანების” ერთ-ერთი ინიციატორი, ედბ-ს თავმჯდომარე, ირინა სარიშვილი-ჭანტურიძე, რომელიც უკვე რამდენიმე წელია გარედან უყურებს მოვლენებს და როგორც მასთან საუბარში შევიტყუეთ, ამას დეკემბერში - ედბ-ს კონფერენციის შემდეგ - მოელება ბოლო. მისი დაპირებით, სულ მალე ედბ-ს ვიხილავთ ისეთს, როგორიც ის გია ჭანტურიას მკვლელობამდე იყო.

მინა ჭანტურიძე

- ეს გაერთიანება კონკრეტულად ამ სუბიექტებისთვის ბევრს არა-ფერს შეცვლის. კონკრეტული სა-კადრო საკითხების გადაწყვეტის დროს, შესაძლოა, პარლამენტში ხე-ლისუფლების პოზიციის მომხრეთა რაოდენობა გაიზარდოს. თუმცა, ეს უმრავლესობა მაინც არ იქნება. პრინციპში, ახალი არაფერი მომხდა-რა. რჩეულიშვილის პარტია, დიდი ხანია, თავის პოზიციებს მოქალაქე-თა კავშირის პოზიციას ამთხვევდა. გუშინ ეს, უბრალოდ, გაფორმდა.

- თვისობრივად თუ შეუძლია ამას ზეგავლენის მოხდენა პოლი-ტიკურ პროცესებზე?

- თვისობრიობას რაც შეეხება, ჯერჯერობით, ვახო რჩულიშვილმა სადმე, ერთ ადგილზე ყოფნის რე-კორდული დრო “ალორძინების” ბლოკთან აჩვენა. ჯორბენაძესთან მისი ყოფნა რამდენად მოხსნის ამ რეკორდს, არ ვიცი.

- თქვენ რას დარქმევთ ამ სუ-რათს. ტრადიციონალისტებმა ყვა-ნისკენ, რჩეულიშვილმა - “მოქა-ლაქეებისკენ” გასწიეს “ალორძინე-ბიდან”; ცალკე ურთიერთობა აქვთ “მოქალაქეთა კავშირსა” და “ალორძინებს”... როგორ დაასათა-ურებდით ამ სურათს?

- თავს შევიკავებ კომენტარისგან. ერთადერთი, რისი თემაც შემიძლია, არის ის, რომ ეს პრობლემა გაუჩნდება ნებისმიერ პარტიას, რომელიც რომელიმე სახელისუფლებო ბლოკს შეა-ფარებს თავს. ამდენად, თუკი ჩვენ, სა-მომავლოდ, თუნდაც, რაიმე პოლიტიკურ გაერთიანებაზე ვფიქრობთ, ეს არავითარ შემთხვევაში სახელისუფ-ლო-სამთავრობო ნიშის ქვეშ გაერთი-ანებას არ უნდა ნიშნავდეს.

- ბათუმური ალიანსი უკვე ცხა-დად სუსტდება. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

- თავს შევიკავებ დაკონკრეტე-ბისგან და არ გამოვიცხადებ, რომ ბა-თუმური ალიანსის ჩასანაცვლებ-ლად, ხელისუფლებამ ახალი საფრ-თხობედა გამოიყენა.

- რა არის ეს საფრთხობელა?

- არც არის საჭირო დაკონკრეტე-ბა. მე მგონი, ფაქტია, რომ ხელი-სუფლებმა შეგნებულად მიდის რა-ღაც-რაღაც მოვლენების პროვოცი-რებისკენ და არა იმიტომ, რომ მონი-ნააღმდეგის მხრიდან სიმართლეს გრძნობს, არამედ იმიტომ, რომ ამ შიმში გაუმრავლოს ან დაუფროვოს მას მომხრეები, როგორც ეს “ალორ-ძინების” შემთხვევაში მოხდა.

- რატომ იკავებთ თავს კონკრე-ტიკისგან?

- იქიდან გამომდინარე, რომ გულწრფელად მომხრე ვარ იმისი, რათა რამდენიმე ორგანიზაციამ მა-ინც მოვახერხოთ ერთად დადგომა.

- რჩეულიშვილი, მისივე არაერ-თი განცხადებით, ბათუმთან ურ-თიერთობის დათმობისთვის ძა-ლისხმევას არ იმურებდა. დღეს კი ასე მოიქცა. ხომ არ გსმენიათ, რა-მეს ხომ არ პირდებოდა მას?

- ვახო დაუფიქრებლად (ამ სიტყ-ვას ფართე მნიშვნელობა აქვს) არ გადადგამდა ნაბიჯს. “მოქალაქეთა კავშირისკენ” იდეის გამო არავინ მე-იძილება წავიდეს - ეს ცხადია. მაგრამ, ბოლო ვერსიით, როგორც შევიტყე, მას განუუცხადებია, რომ ის უნდა გახდეს ხიდი ხელისუფლებასა და აჭარის ბლოკს შორის.

- აქამდეც, ხიდი ვარო, ამბობდა.

- რაც რჩეულიშვილი პოლიტიკა-ში მახსოვს, მთელი ამ წლების გან-მავლობაში, ის ამ ხიდის ფუნქციას ასრულებდა. ხოლო, როგორ შეიძ-ლება, ხიდი ამდენი წლის განმავლო-ბაში ასრულებდეს თავის ფუნქციას - ეს უკვე არქიტექტორების თემაა. ამაში ნამდვილად ვერ ვერკვევი.

- როგორ გგონიათ, თავად ჯორ-ბენაძე კმაყოფილია ამ შეერთებით, თუ ეს იქნება ბრძოლა შევარდნა-ძის ფავორიტობისთვის?

- არ ვიცი, რას გააკეთებს რჩეუ-ლიშვილი იმისთვის, რომ ჯორბენა-ძის შემცვლელი ფავორიტი გახდეს პრეზიდენტისთვის, მაგრამ თავად ჯორბენაძეს საკმაოდ ფლეგმატური დამოკიდებულება აქვს პოლიტიკუ-რი პროცესების მიმართ.

- ალბათ, გარეგნულ დამოკიდე-ბულებას გულისხმობთ.

- გარეგნულად... პო, ალბათ. ჯორბენაძესთან ამ თემაზე გულისხ-მიერი საუბარი არ გვექონია, მიუხე-დავად იმისა, რომ პიროვნულად მას-თან კარგი დამოკიდებულება მაქვს.

ყოველ შემთხვევაში, “მოქალაქე-თა კავშირისთვის” შთაბეჭდილების დონეზე მაინც, შეიძლება, რაღაცას ნიშნავდეს ის, რომ ერთი პარტია მა-ინც უდგას გვერდით და სულ მთლად მარტონი არ არიან. “მოქალაქეთა კავშირი” მომავალ საპარლამენტო არჩევნებში სულ სხვა რამის იმედ-ზეა (თუ საერთოდ აქვს რაიმეს იმე-დი), მაგრამ ეს არანაირად არ არის დაკავშირებული “სოციალისტურ პარტიასთან”.

- მაინც, რჩება ისეთი შთაბეჭ-დილება, რომ ეს გაერთიანება მარ-თლა გაერთიანებისთვის არ მომხ-დარა...

- ერთადერთი რამ შემიძლია ვთქვა, რომ ავთო, წმინდა პოლიტი-კურ პროცესებში, აქტიური არასდ-როს ყოფილა. იგი იყო ჯანმრთელო-ბის დაცვის და შემდეგ - სახელმწიფო მინისტრი. ჯერ არ შემიძლია ვთქვა, რომ ჯორბენაძე ერთ გუნდში იყო და მეორეში გადავიდა. რჩეულიშვილმა კი ბევრჯერ შეიცვალა ადგილი.

- პირველწლად, რჩეულიშვილთან - ბოლო წლებში არა, მაგრამ - თავი-დან, ნორმალური ურთიერთობა მქონდა. ავთოსთან კი დღემდე კარგი ურთიერთობა მაქვს და არც ერთს არ ვუსუსრუებდი ამ ბლოკში ყოფნას.

- კონკრეტულად, რატომ?

- ეს არის სახელისუფლო ბლოკი, და თუ არჩევნები წესიერად ჩატარ-და, მას არანაირი პერსპექტივა არ აქვს. თანაც, ეს ის ხელისუფლებაა, რომელსაც უზარმაზარი პასუხისმ-გებლობა აქისრია მთელი ამ წლების განმავლობაში. არ ვამბობ, რომ ჩვენ რომელიმემ ხელი უნდა დაგვიხართ, მაგრამ, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, სიმართლისთვის უფრო გამართუ-ლად შეგვეხედა თვალეში.

- ყოველთვის დაპირისპირებუ-ლი იყავით ვანო ზოდელავასთან. გრძელდება ეს დაპირისპირება?

- ამ დაპირისპირებამ არჩევნების შემდეგ გადაიარა. თუმცა, ჩატარე-ბულ არჩევნებზე ზოდელავას პასუ-ხისმგებლობას არ ვუხსნი. შექმნილ ვითარებაზე ასევეა პასუხისმგებელი ცენტრალური ხელისუფლებაც. შემ-ფოთებული ვარ დღევანდელი საკ-რებულოს განუვლი მუშაობითაც. ამიტომაც, დღეს ნამდვილად ვერ დავიჭერ ვერავის მხარეს.

- რატომ?

- ჯერჯერობით, ერთის მხრივ, ჩანს რევანშისტული დამოკიდებუ-ლება და მეორეს მხრივ, გაჭრობის შე-საძლებლობასაც არ გამოვიცხადებ.

- ხომ არ გეჩვენებათ, რომ კან-ცელარია ზოდელავას ვინმეში გაცვლის?

- ვილაც რომ ზვარაკად შეენირე-ბა საკრებულოს დღევანდელ მემად-გენლობას, ეს ნამდვილია. ვინ იქნება ეს, ზოდელავა თუ შერაძე... არ ვიცი. ვშიშობ, რომ რეალურად ეს დედაქა-ლაქში არანაირ ცვლილებას არ მოი-ტანს. ის არ მოხდეს, რაც რამდენიმე წლის წინ იხენია მთელმა საქართვე-ლომ - როცა კომუნისტებმა ეროვნუ-ლი მოძრაობის ნაწილს ხელისუფლე-ბა გადააბარეს და ეს ნაწილი ამისთ-ვის მზად არ აღმოჩნდა.



ირინა სარიშვილი-ჭანტურიძე

- საკრებულო რადიკალურ პო-ზიციაზე დგას, რატომ გგონიათ, რომ გარიგება შედგება?

- ვერ გეტყვით. ძნელია წინასწარ პროგნოზირება, მით უფრო, როცა არაპროგნოზირებად პოლიტიკო-სებზე ვსაუბრობთ. ერთი რამ ფაქ-ტია. ყველგან და ყოველთვის რჩებო-ბა მთაბეჭდილება, რომ კულუარებ-ში რაღაც მოლაპარაკებაა. მართალი გითხრათ, არც ერთი და არც მეორე მხრისგან არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. თუმცა, ასეთ მოლაპარაკებას არ გამოვიცხადებ. ენახოთ, მომავალი გვიჩვენებს.

- შემთხვევით, ხომ არ იცით, როგორი იქნება ეს მომავალი?

- ერთადერთი, რასაც ვატყობ, არის ის, რომ “გაერთიანებული დე-მოკრატები” საკრებულოში მიმდინა-რე პროცესებში არ მონაწილეობენ.

- და ეს რას მოასწავებს?

- ჩემი აზრით, შესაძლოა, მათთ-ვისაც არ არის მოსაწონი ყველაფე-რი, რომელიმე მხარე მკვეთრად რომ დაიჭირონ.

- როგორ გგონიათ, შეცვლის თუ არა რამეს ქალაქის მერის არ-ჩევითა?

- ნესივით არჩევნების დროს - როგორ არ შეცვლის?! აქ ხომ არ არის მარტო მერი, აქ საუბარია მთლიანად ინფრასტრუქტურის შეც-ვლაზე.

- თუ მიიღებთ მონაწილეობას მერის არჩევნების შემთხვევაში?

- გააჩნია, რამდენი მხარდამჭერი მეყოლება.

- თქვენს პარტიაში, სწორედ, როგორგანიზაციის ხანა გამოაცხა-დეთ.

- თუ ჩვენ მოვახერხებთ ოპოზი-ციის სოლიდურ ნაწილთან მოლაპა-რაკებას, რა თქმა უნდა, მივიღებ მონაწილეობას. თუ ეს ვერ მოხერხ-და, მაშინ ოპოზიციის ხმები დაიქ-სასქება...

- თქვენი პარტია მოლაპარაკე-ბებზე მიდის ხოლმე და ზოგჯერ, გაერთიანების ინიციატორადაც მოგვევლინეთ. სხვა ოპოზიციურ ძალებთან ერთად შეთანხმდით, რომ ძალადობა არ გინდათ. რაზე შეთანხმდებით კიდევ, ან რაზე ვე-რათ?

- იმედი მაქვს, რომ მოვახერხებთ ძალზე პრინციპულ კონსტიტუციურ ცვლილებებზე შეთანხმებას. არ გა-მოვირცხავ, რომ კონსულტაციებმა პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმე-ბის თაობაზე, შედეგი გამოიღოს.

- ამის ნიშნები არის?

- დაკონკრეტებას მოვერიდები, მაგრამ ამის ნიშნები არის. საკმაოდ არგუმენტირებული პოზიციაა ჩვენი მხრიდან და ვფიქრობ, ამ არგუმენ-ტებმა მოსახლეობაზეც გაჭრა. პო-ლიტიკურ სპექტრში კი, გასაგები მი-ზეზეების გამო, ეს აზრი ნაკლებად პოპულარულია. ვფიქრობ, რამდენი-მე ორგანიზაციასთან შეთანხმებას მივაღწევთ.

მთავარი, მაინც, ის მგონია, რომ არა მხოლოდ კონკრეტულ, არამედ პროგრამულ საკითხებზე მივაწლი-ნო შეთანხმებას.

- რა ეტაპზეა ედბ-ს როგორანი-ზაცია და რა შედეგებს ელით აქე-დან?

- პრაქტიკულად, როგორგანიზა-ციის პროცესი სრულდება და დეკემ-ბრის შუა რიცხვებისთვის პარტიის კონფერენციას ვგეგმავთ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო წლების გან-მავლობაში, ყველაზე მნიშვნელოვა-ნი კონფერენცია იქნება ჩვენთვის.

- რა საშუალებით აპირებთ პარ-ტიის ავტორიტეტის ამოწმებას?

- ამის ადამიანური რესურსები ყოველთვის გავგაჩნდა. მაგრამ, აქამდე პარტიას, ოპიეტური და სუ-ბიექტური მიზეზების გამო, გარკვე-ული სიძნელეები ჰქონდა. ჩვენ მიგ-ვაჩნია, რომ ამ პერიოდისთვის ეს გა-დავლახეთ.

- რა შანსები აქვს პარტიას მო-მავალ საპარლამენტო არჩევნებ-ში?

- ვფიქრობ, რომ 4-5 პარტიას 7 პროცენტთან და, შესაძლოა, 10 პროცენტთან ზღვარს გადალახვის შანსიც ჰქონდეს. მათ შორის - ჩვენიც. არ მგონია, რომ ეს საკმარისი იყოს. ამიტომაც ვართ გაერთიანების შექმ-ნის ერთ-ერთი ინიციატორები. სა-მომავლოდ გაერთიანების შექმნის იდეა ის არ არის, რომ თითოეულმა ჩვენგანმა რაღაც ადგილები დაიკა-

ვოს პარლამენტში, არამედ, რეალუ-რად გამარჯვების მოსაპოვებლად იბრძოლოს. ამის შანსი ოპოზიციის სოლიდურ ნაწილს ნამდვილად აქვს იმ შემთხვევაში, თუ საქმესა და რეა-ლობას უფრო მეტ ანგარიშს გაუ-წევს, ვიდრე საკუთარ ამბიციას.

- სახალხოელ მამუკა გიორგა-ძისა და თქვენს ურთიერთობაში გარკვეული მოლაპარაკებების ეტაპი დაინყო...

- დიას და ჩვენ დღესაც მეგობრულ ურთიერთობებს ვინარჩუნებთ. ამაში გიორგი კობახიძეცაა ჩართული.

მე და ჩემს პარტიას პიროვნული პრობლემა არავისთან გვექონია, მათ შორის, არც მამუკა გიორგაძესთან. ამიტომ, საზგასმით ვაცხადებ: ნე-ბისმიერი ძალა, რომელიც სამომავ-ლოდ პარტიებს შორის კონსულტა-ციებს სოლიდარობას მაინც გამო-უცხადებს და მზად იქნება, ამის გა-მო რაღაც-რაღაცეები დათმოს - ჩვენთვის მისაღებია. რა თქმა უნდა, თუ პოლიტიკურ ალიანსზე და-ვინწყებთ საუბარს, აქ უკვე პოლი-ტიკური პლატფორმაც საერთო უნ-და იყოს. ბევრი მემარჯვენე ორგა-ნიზაციაა საქართველოში (ჩვენი ჩათვლით), და თუ ისინი გაერთიანებას მოახერხებენ, კარგია. მით უფრო, რომ მემარცხენეები აშკა-რად შეერთდნენ და ეს პროცესი გრძელდება.

სინება

კინოთეატრი "ელისო"

"ჰოლივუდური დასასრული" (აშშ, 2002 წელი)



კადრი ფილმიდან

Hollywood Ending რეჟისორი და სცენარის ავტორი: **ვუდი ალენი** მთავარ როლებში: **ვუდი ალენი, თეა ლეონე, ჯორჯ ჰამილტონი**

ვუდი ალენი თავის ყოველ ახალ ფილმში, როგორც წესი, ყველას და ყველაფერს დასცინის და არც საკუთარ თავს ინდობს. ვერაფერს იტყვი, ნამდვილად საინტერესოა იმ ადამიანის ყურება, რომელშიც სწორედ თავისი ავადმყოფური გადაზრების წარმოჩენით გაიკეთა ბრწყინვალე კარიერა.

ფილმი "ჰოლივუდური დასასრული" მთელი მსოფლიოს კინონიღუსტრიას დასცინის. ყველაზე მეტად ამ ფილმში მაინც კრიტიკოსებს მოხვდათ. ისე გამოდის, რომ კინომოდ-ნეებს ისიც კი ვერ განუზრგევიათ, ფილმს ბრმა (პირდაპირი მნიშვნელობით) თუ თვალბინილული რეჟისორი იღებდა. ვუდი ალენმა ჟურნალისტებიც მწარედ გაკენწლა. მთელი მათი ოსტატობის და აქეთ-იქით სირბილის მიუხედავად, ვერ გაარკვიეს, კაცი ბრმა რომ არის.

ეს ფილმი ერთი კარიერაგაფუჭებული რეჟისორის ისტორიაა, რომელსაც ყოფილი ცოლის დახმარებით, შანსი ეძლევა, რომ კვლავ დაბრუნდეს დიდ ეკრანზე, მაგრამ ბედი

კალენდარი

27 ნოემბერი



“ჰენდრიქსის ჩანაწერი ჩაერთე და ჩემმა შეიღმა მკითხა: “მამა, ვინ არის ეს? მე ვუპასუხე: “შვილო, ეს ღმერთია” – რობერტ ჰლანტი.

...**ჯიმი ჰენდრიქსი** 1942 წლის 27 ნოემბერს დაიბადა. დღეს მას 61 წელი უსრულდება. ამ თარიღის აღსანიშნავად სხვადასხვა ქალაქში რამდენიმე მუსიკალური ღონისძიება დაიგეგმა. თუმცა, ჰენდრიქსის ფანების ყურადღება მაინც ნიუ-იორკის ლინკოლნის ცენტრისკენაა მიმართული. ამ ცნობილ დარბაზში 1 დეკემბრამდე დოკუმენტური ფილმის **Blue Wild Angel**-ის ექვს ჩვენებას გამართავენ. ფილმის პრდიუსერები ჯენი ჰენდრიქსი და ჯონ მაკდერმოტი რეჟისორ მიურეი ლერნერთან ერთად პრეს-კონფერენციასაც მოაწყობენ და მაყურებელს ფილმის შექმნის ისტორიას უამბობენ. მათი თქმით, ამ 102 წუ-

თიან ვიდეო-ფირზე აქამდე გამოუქვეყნებელი დოკუმენტური კადრებია დაფიქსირებული. ჰენდრიქსის მუსიკის თავჯანისმცემლების წინაშე კიდევ ერთხელ გაციოვდებდა 1970 წლის Isle of Wight-ის ფესტივალი, რომელზეც ჰენდრიქსთან ერთად "ჰუ", "დორსი" და მაილს დევისიც გამოდიოდნენ. კიდევ ერთხელ დაიპრობეს სცენას ჰენდრიქსი თავისი ჰიტებით: **All Along The Watchtower**, **Voodoo Child**, და უნიკალური პოპურებით: **God Save The Queen** და **Sgt. Pepper's Lonely Hearts Club Band**.

ჰენდრიქსის 60 წლის იუბილეს აღნიშვნა რამდენიმე დღით ადრე დაიწყეს პარიზშიც. კვირას, 24 ნოემბერს მუზეუმ **Cite de la Musique**-ში ელექტროგიტარის მეფისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა. მოგონებების, 60-იანი წლების ნოსტალგიის, ჰენდრიქსის მუსიკის შესაბამის განწყობას ლეგენდარული შემსრულებლები ქმნიდნენ: მისი ჯგუფის "ბენდ ოფ ჯიბსის" წევრები, ბილი კოქსი და ბადი მაილსი, ჩიკაგოელი ბლუზ-გიტარისტი ბადი გაი, "კიდ როკის" გიტარისტი კენი ოლსონი, **Earth Wind & Fire**-ის ყოფილი გიტარისტი შელდონ რიზოლდსა...

ისინი უკრავდნენ მუსიკას, რომელიც ჰენდრიქსს აუცილებლად მოეწონებოდა. ჰენდრიქსის თაობის უკვე ხანდაზმული შემსრულებლები 32 წლის წინ, 27 წლის ასაკში დაღუპულ მუსიკოსს იგონებდნენ.

1970 წლის 18 სექტემბრის ღამეს, კონცერტის წინ, ჯიმი ჰენდრიქსმა დასვენება და ადრე დაძინება გადაწყვიტა. ძილის წამალი დღოია და ველარ გაიღვიძა. დილას იპოვეს მკვდარი. რამდენიმე დღით ადრე ახალ სიმღერას წერდა. ის ამბობდა:

“თუ თავისუფალი ვარ, ეს იმიტომ, რომ სულ დავრბივარ”.

“მუსიკა ყველაზე მნიშვნელოვანია. მინდა, დაუეკრა მუსიკა, რომელიც მსოფლიოს პეიზაჟებს ხატავს, მის სივრცეს გაგრძნობინებს. მუსიკა არ იტყუება... კაცი, რომელსაც მე ვიცნობდი იყო საწყაროს შვილი, გიტარის მასტრი და თბილი, ნაზი სული”. - ბილი კოქსი.

“ჯიმი ჰენდრიქსი ჩემსაღიან ბლუზიდან მოვიდა. ამიტომ ჩვენ ეგრევე გავუგეთ ერთმანეთს” - მაილს დევისი. “ჩემთვის ჯიმი ჰენდრიქსი იყო პირველი შავკანიანი კაცი, ვის სექსუალურობასაც, უბრალოდ, გვერის ვერ ავეულოდი. ეს ყველაზე სექსუალური კაცი იყო, ვინც კი დედამიწაზე დააბიჯებდა”, - ნენე ჩერი.

და *ყველაზე უბრალოდ და გულწრფელია*: “მასთან სასიყვარულო კავშირი არ მქონია – ეს არის ერთადერთი რამ, რასაც ცხოვრებაში ყველაზე მეტად ვნაიბ” - მერიენ ფეითფული.

დიდი ივარიელი

თემურ ყვითელაშვილი ფილარმონიაში ივერიადას დაასრულებს

“ამ კონცერტისთვის მთელი ცხოვრება მოვდივარ”, - გაუშვილა გუშინდელ შეხვედრაზე ჟურნალისტებს ცნობილმა ვიტარისტმა. პრეს-კონფერენცია 30 ნოემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილ თემურ ყვითელაშვილის სოლო-კონცერტს მიეძღვნა. როგორც ცნობილია, თემურ ყვითელაშვილის საღამო ანსამბლ “ივერიას” საიუბილეო დღეებს დაასრულებს. კონცერტს ინტერნეტ-კაფე “ვებერი” და შოუ-ბიზნესის ცენტრი “ლომისი” ორგანიზატრობს.

ჰერა ნაფარიძე

ეს კონცერტი საქართველოში თემურ ყვითელაშვილის მეორე სოლო პროექტია. მუსიკოსს პირველი ინსტრუმენტული საკონცერტო გამოსვლა ოთხი წლის წინათ ჰქონდა. “რატომ-

ღაც ჩაციკლულები ვართ მომღერლებზე, ვოკალისტებზე. ჩვენ თუ ვინმე გვყავს, გვყავს საერთაშორისო დონის მუსიკოს-შემსრულებლები”, - ცოტა უსამართლოდ უსაყვედურა მას-მედიას “ლომისის” წარმომადგენლმა ჯემალ ბალაშვილმა. ჯერ ერთი, რომ თანამედროვე მშობლიურ მუსიკალურ სცენას ინსტრუმენტალისტებზე გაცილებით მეტი “ვარსკვლავი” ვოკალისტი ჰყავს და ასეც რომ არ იყოს, ესტრადა იმიტომაც არის პოპ-კულტურა, რომ ფართო მასებში უფრო პოპულარულია და მის მიმართ საზოგადოების ინტერესიც გაცილებით მაღალია. აკი, თავად თემურ ყვითელაშვილმაც თქვა გუშინ: “ინსტრუმენტულ მუსიკას მაინც ვინრო წრე უსმენს”. საქართველოში რომ ეს წრე კიდევ უფრო ვიწროა, ვიდრე სხვაგან, ეს ალბათ უფრო ცალკე პრობლემაა... მაგრამ, საბედნიეროდ, მასის სიმპათია-ანტიპათიები არ განსაზღვრავს ცალკეული პროფესიონალების წარმატებულ კარიერას, ისევე როგორც თემურ ყვითელაშვილის შემთხვევაში.

მართალია, ამ მუსიკოსს სამშობლოში პოპულარობა არასდროს აკლდა, მაგრამ მხოლოდ ეს არ აღმოჩნდა საქმარისი შემოქმედებითი მუშაობისთვის. “არტისტი უნდა მოძრაობდეს. ვერგებს, მათ შორის, ვერც მე, თბილისში თვეში ოთხ კონცერტს ვერ გამართავს”, - ასე ახსნა მუსიკოსმა საკუთარი მუსიკალური ემიგრაცია. როგორც ცნობილია, თემურ ყვითელაშვილი რამდენიმე წელიწადი მოსკოვში ცხოვრობს. მოსკოვი კი მხოლოდ იმიტომ აირჩია, რომ როგორც თავად ამბობს, იქიდან უფრო იოლია მოძრაობა. თანაც, იქ გიტარისტი საშუა-



თემურ ყვითელაშვილი

მენტული ალბომი ჰქონდა გამოშვებულ. ამერიკაში ყოფნისას კი როდესაც თემურს ვიტარის კორიფეგმა მოუსმინეს, გაუკვირდათ, რომ აქამდე არ იცნობდნენ მას. 1994 წელს ვიტარისტების საერთაშორისო კონკურსზე მოლოდინში აღან პოდსკორთმა ფიუჟენის სტილში “წლის საუკეთესო გიტარისტად” დაასახელა; 1995 წელს კი მოვიდა ამერიკელ გიტარისტთან მაიკლ ანჟელოსთან ერთად; 1996 წელს საქართველოს საუკეთესო ინსტრუმენტალისტად დაასახელეს; 1998 წელს კი პრეზიდენტმა ედუარდ შევიაენაძემ თემურ ყვითელაშვილი ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში მეტახილი წვლილისთვის “ღირსების ორდენით” დააჯილდოვა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მუსიკოსს დაზიანებული საცხოვრებელი ფართის გასაშუქლებელად ქალაქის მერთან ნანა დედგარიანის მუნიცპალიობა დასჭირდა. როგორც მუსიკოსმა გვითხრა, პრობლემა ჯერაც არ გადაწყვეტილა. სამაგიეროდ, თემურ

ფოტოგრაფიის რეზრანდები საქართველოში

